# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 21 დეკემბერი 2007 №295 (3218) ფასი 50 თეთრი




## კახა კალაძე 8,5 მილიონის წინააღმდეგ

უარყოფილია: ლივერპული, პოლიტიკა, იოლი ჯგუფი

## კაპიტნის სიტყვა: ყველანი გავდგეთ განზე!

კლაუს ტოპმიოლერი და ზურაბ ხიზანიშვილი უჩვენოდ მორიგდებიან

## მათე ღვინიანიძე და მირზა ბჟალავა: ქართული ოპერაციები გერმანიაში





## ტოპი ორზე არ გაიყოფა

გერმანელის აინ ცვაი მორჩა. მისი ბოლო რჩევა ლაუტერნს: სხვამ გირჩიოთ!

# კახა კალაძე: ლივერპული სასიამოვნოა და ტყუილია

## არ ჩავერიოთ და არ გამწვავდება



ნუხელ, იტალიის თასის მერვედფინალურ მატჩში „კატანიასთან", საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალაძეს არ უთამაშია, ისევე, როგორც „მილანის" ძირითადი შემადგენლობის არც ერთ ფეხბურთელს. მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ შანსი სათადარიგოებს მისცა. მიზეზი — კვირას „დერბი დელა მადონინაა". მოშუღალ თანაქალაქელ „ინტერთან" შეხვედრისთვის მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონი, ჩვენებურის თქმით, ძალიან სერიოზულად ემზადება. გუშინ კალაძეს მილანში ამ და სხვა ამბების გასაგებად შევეხმიანეთ...

— კვირას ძალიან მნიშვნელოვანი თამაშია „ინტერთან" და ჩვენც, ცხადია, სერიოზულად ვემზადებით. ემზადებიან ჩვენი ფანებიც. ქალაქი ახლა ორ ნაწილადაა გაყოფილი. ცხადია, საბრძოლოდ ვართ განწყობილნი, ცოტა ხნის წინ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოვიგეთ და გვინდა, ტრიუმფალური 2007 წელი მაჟორულ ნოტაზე ჩავამთავროთ. ახლა ისე ვართ მონდომებულნი, როგორც არასდროს — „ინტერს" უეჭველად უნდა მოვუგოთ!

— მასიმო მორატიმ და რობერტო მანჩინიმ რამდენიმე დღის წინ „მილანის" წარმატება დააკნინეს, რა უხარიათ, მაგათ ამხანაგური ტურნირი მოიგესო...

— ორივეს აზრი ნაკლებად მაინტერესებს, ასე სწორედ ისინი ამბობენ, ვინც ვერაფერს აღწევს. „ინტერმა" ჯერ ერთ წელიწადში ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოიგოს და მერე ილაპარაკონ ამ ტურნირების რანგსა და წარმატებაზე. ძალიანაც კარგი, ასე თუ თქვეს, ეს ჩვენთვის დამატებითი სტიმულია.

— მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ „ინტერი" სერია A-ში კონკურენტებს საკმაოდ გაექცა. ნუთუ მართლა ასე ძლიერია „ნერაძური"?

— ცხადია, ძლიერი გუნდია და ჩემპიონატშიც კარგად მიდიან, მაგრამ ვნახოთ, როდემდე გააგრძელებენ ასე. ამ ყოველივეს ჩვენი სუსტი თამაშებიც დაერთო, სამწუხაროდ, ჯერ შინ ვერ მოვიგეთ, უმნიშვნელოვანესი ქულები ვკარგეთ, განსაკუთრებით კი კონკურენტებთან, „რომასთან" და „იუვენტუსთან".

— გამოდის, სერია A-ზე ხელი ჩაიქნიეთ?

— არანაირად. კი, ძნელი იქნება კონკურენტების დაწევა და მით უფრო, ჩემპიონობა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სეზონის ბოლოს სამეულში აუცილებლად მოვხვდებით. „მილანის" აღმასვლა კვირიდან დაიწყება. ხომ არ მოგვიგია წლეულს „სან სიროზე" — ახლა მოვიგებთ!

— „ლივერპულში" შენს შესაძლო ტრანსფერზე რას იტყვი?

— ტყუილია ეგ ყველაფერი.

— ბრიტანეთში კი ლამის დარწმუნებით ლაპარაკობენ, ბენიტესი კალაძეს იანვარშივე ჩამოიყვანსო, ტრანსფერისთვის 8,5 მილიონი ევრო უკვე გამზადებულია და ახლა მხოლოდ „მილანის" დასტურს ელიანო...

— ერთი მხრივ, სასიამოვნოა, რომ ისეთი კლუბი დავაინტერესე, როგორიც „ლივერპულია". სხვანაირად ნუ გამიგებთ და, ეს ფაქტი ჩემთვის, როგორც ფეხბურთელისთვის, ბევრისმთქმელია. მაგრამ სად უნდა წავიდე — განა „მილანი" „ლივერპულზე" ნაკლები დონის გუნდია?! ერთი სიტყვით, გამორიცხულია, ამ საქმიდან რამე გამოვიდეს, თანაც, უკვე რვა წელია, აქ ვარ და წლების მერე კარიერასაც ალბათ აქვე დავასრულებ.

— საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ. კლაუს ტოპმიოლერისა და ზურაბ ხიზანიშვილის ამბავი გეცოდინება. ეროვნული გუნდის კაპიტნის აზრი ამის თაობაზე...

— მე მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია: ეს ამბავი მხოლოდ და მხოლოდ „ხიზანამ" და ტოპმიოლერმა უნდა მოაგვარონ. არავინ არ უნდა ჩაერიოს, არც ფეხბურთელები და არც ფეხბურთის ფედერაცია. ძალიან დიდი სისულელეა, ზოგიერთმა ამ კონფლიქტს პოლიტიკური სარჩულიც რომ დაუდო. მწვრთნელებს და ფეხბურთელებს შორის გაუგებრობა არცთუ იშვიათია. ფეხბურთელი, რა თქმა უნდა, განაწყენდება სათადარიგოთა სკამზე ჯდომით. ეს ბუნებრივია, სკამზე ჯდომა ვის უხარია, მაგრამ, ვიმეორებ, საქმის გამოსწორება შესაძლებელია. თვითონ ზურა და ტოპმიოლერი უნდა მორიგდნენ და სხვათა ჩარევა საჭირო არ არის, უფრო ნუ გავაზვიადებთ და ნუ გავამწვავებთ ვითარებას.

— მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენს მეტოქეებზე რას იტყვი?

— ფურცელზე რომ ჩამოწერ, იოლია იმის თქმა, თითქოსდა კარგი ჯგუფია, მაგრამ, აბა, რომელი მეტოქეა იოლი? ყველასთან ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ და მოვიგოთ, თორემ წინასწარ ვიძახოთ, ჯგუფიდან გავედით და ეგაარ, ასე არ გამოვა.

— ჯგუფში ისევ იტალია გვყავს. შენს მილანელ თანაგუნდელებს ხომ არ უთქვამთ რამე ამის თაობაზე?

— ამაზე ჯერ არ გვისაუბრია. ერთი მხრივ, კარგია, იტალიას რომ შევხვდით, ყოველთვის საინტერესო და სასარგებლოა ძლიერ მეტოქესთან თამაში. ვნახოთ, რა გამოვა, მე ერთი ვიცი, ყველასთან უნდა ვიბრძოლოთ...

**ქობა ინასარიძე**

# ბენიტესმა თავისი თქვა

უკვე გამოაშკარავდა, რომ „ლივერპულის" მთავარი სამიზნე კახა კალაძეა. „წითლების" თავკაცი რაფა ბენიტესი აქამდე თუ შორიდან უცქერდა და ამბობდა, ძლიერი ცენტრალური მცველი მჭირდებაო, ახლა პირდაპირ დაასახელა კახა კალაძე.

მერსისაიდელებს ყველა პოზიციაზე, სულ ცოტა, 2 ფეხბურთელი ჰყავთ, გამონაკლისი მხოლოდ დაცვის ცენტრია, სადაც შარშან დანიელ აგერი თამაშობდა, მაგრამ მას ტრავმა აქვს, ფინელი სემი ჰიპია კი ბენიტესის გეგმებში ვერ ჯდება და გაყიდვას უპირებენ.

დასახელდა თანხაც: კალაძე თუ გაიყიდა, „ლივერპულს" 8,5 მილიონი ევროს გადახდა მოუწევსო.

არა გვგონია, „მილანი" ასე შეელიოს წამყვან მცველს, მით უმეტეს, თავად კახასაც არ აქვს წასვლის სურვილი, ის კი ნაღდია, რომ „როსონერი" ცენტრალურ მცველს იქით ეძებს და „ბაიერნის" ბრაზილიელ ლუსიოსთვის დაუდგამს თვალი...

**ილია ნანობაშვილი**



# კლაუს ტოპმიოლერის ლაუტერნი დამთავრდა!

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი გერმანიიდან დღეს უნდა ჩამოვიდეს და ხვალ-ზეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს. მხარეებს შორის მომავალი თანამშრომლობის პირობები უკვე შეთანხმებულია, ოდენ რამდენიმე დეტალი დარჩა მოსალაპარაკებელი და ტოპმიოლერისთვისაც კიდევ ერთი, ახალი, ორწლიანი ქართული პერიოდი დაიწყება. მოკლედ, ეს საქმე უკვე მოგვარებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ტოპმიოლერის გერმანულ ამბებში კი ერთი სიახლეა — ის თავის მშობლიურ „კაიზერსლაუტერნს", ცოტა არ იყოს, სკანდალურად დაშორდა.

გეხსომებათ, კლაუს ტოპმიოლერს „კაიზერსლაუტერნიდან" ამ რამდენიმე კვირის წინ დაუკავშირდნენ და კლუბის კრიზისიდან გამოყვანისთვის სპორტულ მრჩევლად თანამშრომლობა სთხოვეს. მწვრთნელი დათანხმდა და კლუბს ნაირ-ნაირი რჩევა-რეკომენდაციებით „ამარაგებდა". სწორედ მისი სიტყვებით „კაიზერსლაუტერნმა" ორ ქართველთან, ლევან ცქიტიშვილთან და ზურაბ მენთეშაშვილთან წამოიწყო მოლაპარაკება და მალე ალბათ ამ საქმეს გაფორმებული კონტრაქტებით დაამთავრებს. თუმცა უკვე ტოპმიოლერის გარეშე...

ორშაბათს „კაიზერსლაუტერნმა" სტუმრად „კიოლნთან" 1:2 წააგო და მეორე ბუნდესლიგის ფსკერს კიდევ უფრო მიუახლოვდა. ამ თამაშის შემდეგ ტოპმიოლერმა კლუბის ხელმძღვანელებს ნორვეგიელი მწვრთნელის, კეტილ ანდრე რეკდალის გათავისუფლება „ურჩია". ტოპმიოლერი „კიოლნთან" მატჩის შემდეგ უმალ მწვრთნელის გამოცვლაზე ალაპარაკდა და ამაზე ხელმძღვანელობაც დაფიქრდა. თუმცა, მოგვიანებით, ახალი მწვრთნელის მოსაყვანი ფული არ გვაქვსო და რეკდალს სამსახური შეუნარჩუნა. ტოპმიოლერიც სწორედ ამ გადაწყვეტილებამ გააბრაზა. ქუდი დაიხურა და მშობლიური კლუბი დატოვა.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „კაიზერსლაუტერნის" უფროსებმა კლაუს ტოპმიოლერს სთხოვეს ამ ნაბიჯისგან თავის შეკავება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ — ტოპმიოლერი წავიდა.

მიუხედავად ამისა, კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს შეფი დიტერ ბუხჰოლცი მაინც იმედიანადაა და ამბობს, ტოპმიოლერს შემოვურიგდებით და „კაიზერსლაუტერნის" მეორე ბუნდესლიგაში დარჩენასაც ერთად ვიზეიმებთო.

**ქობა ინასარიძე**

## უეფას თასი 2007-2008 ჯგუფური ეტაპი. V ტური

### A ჯგუფი

**ალკმაარი 2:3 ევერტონი**

0:1 ჯონსონი (2), 1:1 პელე (16), 1:2 ჯაგიელკა (44), 2:2 ძალიენსი (65), 2:3 ვონი (79)

**ლარისა 1:3 ნიურნბერგი**

1:0 კოზლეი (11), 1:1 საენკო (45), 1:2 მინტალი (56), 1:3 ქარისტეასი (73)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ევერტონი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 12 |
| ნიურნბერგი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ზენიტი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| ალკმაარი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ლარისა | 4 | 0 | 0 | 4 | 4:10 | 0 |

### B ჯგუფი

**ატლეტიკო 2:1 პანათინაიკოსი**

0:1 სალპინგიდისი (34), 1:1 გარსია (74), 2:1 სიმაო (90)

**აბერდინი 4:0 კოპენჰაგენი**

1:0, 2:0 სმიტი (47, 55), 3:0 ანტონსონი (70ს.კ.), 4:0 ფოსტერი (82)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 10 |
| პანათინაიკოსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 9 |
| აბერდინი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| კოპენჰაგენი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:7 | 3 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |

### C ჯგუფი

**აეკ 1:2 ვილიარეალი**

0:1 მავუბა (40), 1:1 რივალდო (68), 1:2 დოს სანტოსი (69)

**ფიორენტინა 2:1 ბოლესლავი**

1:0 მუტუ (44პ), 1:1 რაინოში (60), 2:1 ვიერი (67)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვილიარეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| ფიორენტინა | 4 | 2 | 2 | 0 | 10:4 | 8 |
| აეკ | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ბოლესლავი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| ელფსბორგი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:12 | 1 |

### D ჯგუფი

**ჰამბურგი 1:1 ბაზელი**

0:1 ერგიჩი (58), 1:1 ოლიჩი (73)

**რენი 1:1 დინამო**

0:1 ვუკოჩევიჩი (57), 1:1 მბია (88)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამბურგი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 10 |
| ბაზელი | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 8 |
| ბრანი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| დინამო | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| რენი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |

## იტალია

თასის 1/4 ფინალი. I მატჩი

**მილანი 1:2 კატანია**

## პორტუგალია

სუპერლიგა. XIV ტური

**ბენფიკა — ამადორა** გვიან გაიმართა

## ამხანაგური მატჩები

**ფკ ინდონეზია** (ინდონეზია) **0:1 დორტმუნდი** (გერმანია)

**ჩინეთის კლუბების ნაკრები 0:2 კოტბუსი** (გერმანია)



ზურაბ მენთეშაშვილისა და ლევან ცქიტიშვილის „კაიზერსლაუტერნში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი ამბავია — 3 იანვარს ქართველი ნახევარმცველები გერმანიაში ჩავლენ და ყველანაირ გაუგებრობას ბოლო მოელება. მენთეშაშვილი ამჟამად თბილისშია და გუშინ რომ დავუკავშირდით, „ლაუტერნის“ გარდა, ცხადია, განვლილ ევროშესარჩევ ციკლზე და ნაკრების ავ-კარგზე ვესაუბრეთ...

# ლატვია უნდა გავამწარო

## ზურაბ მენთეშაშვილი: ლაუტერნში გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია

— „კაიზერსლაუტერნში“ შენი გადასვლის საკითხი რა სტადიაშია?

— დღეს კლაუს ტოპმიოლერი თბილისში ჩამოვა და დაველაპარაკები. ისე, თითქმის ყველაფერი მოგვარებულია, 3 იანვარს მე და ცქიტიშვილი გერმანიაში ჩავალთ და კონტრაქტს გავაფორმებთ. რამდენიმე გაზეთში წავიკითხე, ეს ტრანსფერები ჩაიშალაო და ვერ გავიგე, რატომ და საიდან ასეთი ჭორი.

— ხელისშემშლელი აღარაფერია? როგორც ითქვა, „კაიზერსლაუტერნს“ ფულის გადახდა უჭირსო...

— სწორედ შეიძლებოდა ყოფილიყო პრობლემა, მაგრამ გავიგე, რომ ესეც დადებითად გადაწყდა.

— ცქიტიშვილისგან განსხვავებით, შენ თავისუფალი აგენტი არ ხარ...

— „ლაუტერნი“ უკვე შეთანხმდა „შინიკთან“, ვისაც ვეკუთვნი. რა ვიცი, თუ სასწაული არ მოხდა, კონტრაქტს გავაფორმებ. „კაიზერსლაუტერნში“ სამედიცინო შემოწმებაც გავიარე.

— ძალიან კარგი. ახლა საქართველოს ნაკრებზეც გკითხავ, კერძოდ კი, ბოლო მატჩზე, ლიტვასთან 0:2 წაგებაზე. მარტო უიღბლობა იყო მარცხის მიზეზი?

— სხვა მიზეზს ვერც ვპოულობ. არ შევიდა ბურთი ლიტვის კარში, მათ კი ორჯერ დაარტყეს და ორივე გაიტანეს. საცოდაობაა, ლიტველებმა ორივეჯერ ასეთი ჩაკეტილი თამაშით მოგვიგეს.

— ნაკრებში 17 წლის ფეხბურთელები გამოჩნდნენ რომლებთან ერთადაც რამდენჯერმე მოგიწია თამაშმა. რას იტყოდი მათზე, შეუძლიათ მომდევნო შესარჩევში სტაბილურად გამოსვლა?

— მე პირადად კმაყოფილი ვარ მათი თამაშით. ძალიან ნიჭიერები და მონდომებულები არიან. არა მგონია, ასაკს დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს...

— ხშირი კამათია, კლაუს ტოპმიოლერის ხელში ნაკრების თამაშის ხარისხმა მოიმატა თუ არა...

— მოიმატა. უფრო გამართულად ვთამაშობთ ტაქტიკურად, ტემპიც მაღალია და წინა წლებთან შედარებით, თავდაჯერებულობაც გვეტყობა.

— შედეგი რომ არ ჩანს?!

— წამყვანი ფეხბურთელების გამოკლება ყველა ნაკრებისთვის დიდი დარტყმაა. ტრავმებმა და დისკვალიფიკაციებმა არ მოგვცა მეტის საშუალება, თანაც, ზოგ მატჩში საშინლად არ გაგვიმართლა.

— მუნდიალ 2010-ის შესარჩევ ჯგუფს როგორ შეაფასებ?

— საინტერესო ჯგუფია და ნაღდად შეგვიძლია, კარგი თამაში ვაჩვენოთ. აუცილებლად გავალთ ჯგუფიდანო, ამას ვერავინ იტყვის, მაგრამ ბრძოლა შეიძლება. ყველა მატჩი ისეთი მონდომებით თუ ვითამაშეთ, როგორც შოტლანდიასთან, მეტოქეებს კარგი დღე არ დაადგებათ.

— 6 თებერვალს ლატვიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩია. ლატვიის ჩემპიონატში დიდხანს თამაშობდი და...

— ძალიან გამიხარდა, ლატვია რომ ჩამოვა თბილისში. მინდა, რომ ისინი გავამწარო.

— რატომ? „ვენტსპილსიდან“ ცუდად არ წამოსულხარ...

— „ვენტსპილსიდან“ არა, მაგრამ „სკონტოში“ ლამის 9 წელი ვთამაშობდი, ხოლო მერე „შინიკიდან“ რომ მივბრუნდი, აღარ ამიყვანეს. სად წამივლენ, აუცილებლად უნდა მოვუგოთ.

**ილია ნანობაშვილი**

# პაჭელო იანვარში ჩავა და გაარკვევს



**გიორგი** ნოდარის ძე ჭელიძემ გასული ხუთი თვე მშვენივრად ითამაშა „ზესტაფონში“ და მოსკოვის „ლოკომოტივში“ იმედიანად მიდის. „პაჭელო“ „ლოკომოტივის“ საკუთრებაა, ამ კლუბს კი ახალი პრეზიდენტი და ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — მოკლედ, რა თვალით შეხედავენ ჩვენიანს, ესაა საქმე.

„ჯერ მხოლოდ ის ვიცი, რომ 11 იანვარს მოსკოვში ჩავალ. ყველას დაველაპარაკები და გავარკვევ, რამდენად ვჭირდები გუნდს. ახალ მთავარ მწვრთნელ რაშიდ რახიმოვსაც არ ვიცნობ“ — გვითხრა გუშინ ჭელიძემ და ისიც დაამატა, თუ შევატყობ, „ლოკომოტივს“ ისევ სათადარიგოთა სკამისთვის ვჭირდები, განათხოვრებას მოვითხოვ, ამ ეტაპზე ჩემთვის მთავარი თამაშიაო.

**ილია ნანობაშვილი**

# კვიპროსმა უკრაინა შეიგულა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების მომავალი მეტოქე კვიპროსი 6 თებერვალს უკრაინას ამხანაგურად უმასპინძლებს.

ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა, მაგრამ ისიც დავამატოთ, რომ უკრაინელებს ამ დროისთვის უკვე ეყოლებათ ახალი მთავარი მწვრთნელი და სხვათა გარდა ლაპარაკი თვით მსოფლიოს ჩემპიონ მარჩელო ლიპიზეა.

6 თებერვლის მატჩი ლარნაკაში გაიმართება.

**ილია ნანობაშვილი**


ჩაერთეთ 3 ლარად!

საავანსო ბალანსი 3 ლარი



ტარიფი «მეგობრები»

სატარიფო გეგმა ძალაშია 31.01.2008 - მდე

დაგვიკავშირდით
ქალაქის ქსელიდან: 20 0611
მობილურიდან: 0611
www.beeline.ge

ბილაინი



# ღვინიანიძის მენისკს ჩარევა დასჭირდა

## მიუნხენმა მათე რისკს აარიდა

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ „მიუნხენ 1860"-ის ქართველ მცველ მათე ღვინიანიძეს გუშინ ოპერაცია გაუკეთეს.

ეს ინფორმაცია, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია, რადგან მათე გამოჯანმრთელების გზაზე იდგა, თუმცა პოპულარული „კიკერის" ცნობით, ყველანაირი რისკის ასარიდებლად ქირურგიული ჩარევა აუცილებელი იყო.

21 წლის ღვინიანიძეს მარცხენა მუხლის მენისკი ჰქონდა დაზიანებული.

„ძალიან კარგია, რომ ოპერაცია ახლა გაკეთდა. ეს საშუალებას მოგვცემს, მათე შვებულების პერიოდში გამოკეთდეს და გუნდს პირველივე შეკრებაზე გაჰყვეს" — განაცხადა „მიუნხენ 1860"-ის მენეჯერმა შტეფან როიტერმა.

როგორც შევიტყვეთ, მათე თავს უკვე კარგად გრძნობს და კმაყოფილია კლუბის ექიმი ერიხ რიმბეკიც: „ოპერაციამ უპრობლემოდ ჩაიარა. მარცხენა მენისკზე მცირე დაზიანება აღმოვაჩინეთ თუ არა, მაშინვე გადავწყვიტეთ მისი მკურნალობა. მათე შაბათამდე დარჩება კლინიკაში, მერე კი გამოწერენ".

ექიმების თქმით, ღვინიანიძეს სამი-ოთხი კვირა მოუწევს უქმობა...

**ᲙᲐᲮᲐ ᲖᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ**

# ავსტრიელი ბჟალავას გერმანული ოპერაცია



19 ᲬᲚᲘᲡ მირზა ბჟალავამ გერმანიაში მუხლის ოპერაცია გაიკეთა და გუშინ დაბრუნდა თბილისში.

ბჟალავა ამასწინანდელ ლუქსემბურგ — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩში დაშავდა. ახლა გარკვეულ პერიოდს კი იუქმებს, თუმც ავსტრიის მეორე ბუნდესლიგის განახლებისას, წესით, მზად უნდა იყოს.

მირზას „ავსტრია ლუშტენაუ" მაქსბუნდესლიგაში გადასასვლელად იბრძვის.

**ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# ვის დაუმეგობრდება მანჩხავა?

## ამას თანამეგობრობა იტყვის




ლიტვურმა „კაუნასმა" გასულ სეზონში სოლიდური ფორით მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი, ჩვენ კი ეს კლუბი ᲜᲣᲙᲠᲘ ᲛᲐᲜᲩᲮᲐᲕᲐᲡ, გივი კვარაცხელიასა და აკაკი ხუბუტიას გამო გვაინტერესებს. ლიტვაში ახალი სეზონი მარტში ან აპრილში დაიწყება, მანამდე კი, არც ისაა გამორიცხული, ქართულ სამეულს ერთი მოაკლდეს — ამასწინათ გვეწერა, მანჩხავას რუსულ გუნდში გადასვლის ვარიანტი აქვსო. და კიდევ, ჩნდება კითხვა, ლიტვის ჩემპიონი გუნდის ნამყვანი ფეხბურთელები რატომ ვერ იმსახურებენ ეროვნულ ნაკრებში თუნდაც საცდელად გამოძახებას? მანჩხავას კაუნასში დავუკავშირდით და მხოლოდ სატრანსფერო ამბებზე არ გვილაპარაკია...

— „კაუნასს" შეკრება უკვე დაეწყო?

— თითქმის მთელი ნოემბერი საქართველოში ვიყავით, შვებულება გვქონდა, 10 დეკემბერს კი ლიტვაში დავბრუნდით. უკვე ორჯერად ვარჯიშებზე ვართ. აქვე, ლიტვაში ვემზადებით და „თანამეგობრობის თასის" დაწყებამდე უცხოურ შეკრებაზე არ მივდივართ.

— „თანამეგობრობის თასზე" ზოგი გუნდი მეორე შემადგენლობით ჩადის ხოლმე. „კაუნასი"?

— ძირითადი გუნდით მივდივართ. კარგი მოსამზადებელი ტურნირია და იმედი მაქვს, კარგად ვითამაშებთ.

— კი მაგრამ, შენ უეჭველად რჩები „კაუნასში"? გავიგეთ, რუსეთიდან გქონია შემოთავაზება...

— პირადად მე არავინ დამკავშირებია და კლუბის ხელმძღვანელობას თუ შეეხმიანენ ჩემზე, არ ვიცი. ერთი წელი კიდევ მაქვს კონტრაქტი, მაგრამ „კაუნასზე" უკეთესი გუნდი თუ გამოჩნდება, მაშინ, ვნახოთ... აი, „თანამეგობრობის თასი" ისეთი ტურნირია, თავს თუ გამოიჩენ, უცებ დატრიალდებიან.

— აკაკი ხუბუტია და გივი კვარაცხელია რჩებიან „კაუნასში"?

— ალბათ. ორივეს კონტრაქტი აქვს.

— „კაუნასი" ადვილად გახდა ჩემპიონი. თუ ჩანს ლიტვაში ისეთი გუნდი, ვინც შეიძლება, გაისად სერიოზული წინააღმდეგობა გაგიწიოთ?

— ყველას ჰგონია, რომ „კაუნასი" თუ ვერ გახდა ჩემპიონი, სასწაული იქნება. არადა, მთლად ასეც არ არის. შეიძლება ისე ჩანს, რომ იოლად ვიგებთ, მაგრამ დამიჯერეთ, აქ ოთხი-ხუთი ისეთი გუნდია, მათთან თითქმის ყველა თამაშში მაგარი ბრძოლა გვაქვს ხოლმე. ერთი კია, შემადგენლობით „კაუნასი" ლიტვაში უძლიერესია, ათზე მეტი მხოლოდ ლეგიონერი ვართ.

— საქართველო — ლიტვის თამაშზე გექნებოდა თანაგუნდელებთან ლაპარაკი. ძალიან იტრაბახეს?

— კი, ჯერ კაუნასში რომ მოუგეს საქართველოს, მაშინ აგვავსეს ტრაბახით და თბილისში მოგების მერე რაღას იზამდნენ?! ფოიერვერკები მოუწყვიათ, თუმცა ძალიან გახარებულები კი იყვნენ.

— როგორ ფიქრობ, რეალურად, საქართველოზე ძლიერია ლიტვა თუ უშუალოდ ამ ორ მატჩში მოუგო?

— არა. ლიტვა ვერანაირად ვერ ჯობია საქართველოს. შედარებაც არაა... ფეხბურთელების კლასი რომ ავიღოთ, სად ლიტველები და სად ჩვენები. ქართველებთან კონკრეტულად იმ ორ დღეს უკეთ ითამაშეს. მარტო გამართლებასაც ნუ ვიტყვით წაგების მიზეზად: მასე არც ლიტვას გაუმართლა შოტლანდიასთან, ის კი არა, საფრანგეთთანაც არ ჰქონდათ შინ წასაგები.

**ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# ძმობის გზაზე, აღმოსავლეთისკენ

## გიზო ჯელაძე ამერიდან მადლობით მიდის

თბილისის „ამერის" 32 წლის ნახევარმცველმა ᲒᲘᲖᲝ ᲯᲔᲚᲐᲫᲔᲛ კლუბის შეცვლა გადაწყვიტა — იანვრიდან ის ყაზახეთში, უსტკამენოგორსკის „ვოსტოკში" ითამაშებს. ამავე კლუბშია გიზოს უფროსი ძმა — ზვიადიც.

მიუხედავად იმისა, რომ უმცროს ჯელაძეს ქართულ კლუბთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდებოდა, გიზო და „ამერი" ერთმანეთს უპრობლემოდ დაშორდნენ...




[illegible] ფოტო

— უკვე ყველაფერზე მოვრიგდით, „ამერის" ხელმძღვანელობა გაგებით მოეკიდა ჩემს სურვილს და კლუბიდან კონტრაქტის ამოწურვამდე გამათავისუფლა, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

— „ვოსტოკს" შენი ძმის საშუალებით დაუკავშირდი?

— ყაზახური კლუბი ჯერ კიდევ ზაფხულში მეპატიჟებოდა, მაგრამ მაშინ წასვლისგან თავი შევიკავე. ცოტა ხნის წინ კი „ვოსტოკიდან" ისევ დამიკავშირდნენ და კონკრეტული წინადადებით მომმართეს. ამ საქმეში, ცხადია, ზვიადიც მონაწილეობდა. ერთიორი დღე დეტალებზე შეთანხმებამ წაიღო და საბოლოოდ მოგვარდა „ვოსტოკში" ჩემი გადასვლის საკითხიც.

— კონტრაქტი ჯერ არ გაგიფორმებია?

— ჯერ არა, ახალ გუნდს 9 იანვარს ანთალიაში შევუერთდები და კონტრაქტსაც ალბათ იქ გავაფორმებთ, თუმცა ეს უკვე ფორმალობაა, ისედაც ყველაფერზე შეთანხმებულნი ვართ.

— „ვოსტოკის" გარდა სხვა კლუბები არ გეპატიჟებოდნენ?

— არა, მხოლოდ ყაზახებისგან მივიღე კონკრეტული წინადადება და დავთანხმდი...

გიზო ჯელაძე „ამერში" სარატოვის „სოკოლიდან" 2004-05 წლების სეზონში მივიდა. შემდეგ ეროვნული ჩემპიონატის ერთი წრე „ბათუმში" გაატარა და ისევ „ამერს" დაუბრუნდა.

თავის დროზე კი გიზო ჯელაძეს რუსულ პირველ ლიგაში სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივში", სოჭის „ჟემჩუჟინაში", კალინინგრადის „ბალტიკაში", ყაზანის „რუბინში" და, როგორც ვთქვით, „სოკოლში" უთამაშია, უფრო ადრე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრიც იყო.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

# მანჩესტერული წვეულება



ჯონი ევანსი

**ჯონი**, იგივე ჯონათან ევანსის ამბავი გუშინ გაცნობეთ: „მანჩესტერ იუნაიტედის“ ამომავალ ვარსკვლავს საშობაო წვეულებაზე ქალის გაუპატიურებას აბრალებენ. უფრო სწორად, მავანმა 26 წლის ქალმა პოლიციაში იჩივლა და სკანდალური ამბავიც ამას მოჰყვა, მაგრამ როგორ გინდა დაადგინო სიმართლე, როდესაც ვაჟი კატეგორიულად აცხადებს, მსგავსი არაფერი ყოფილაო?! თურმე, დაკავებულმა, 19 წლის ჩრდილოირლანდიელმა მეგობრებს დაურეკა და უთხრა, არ დაიჯეროთ, ყველაფერი ტყუილიაო.

მეორე მხრივ, გაირკვა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ რომელიღაც ფეხბურთელს გაუპატიურებული თუ ვითომ გაუპატიურებული ქალის ბოიფრენდთან ჩხუბი მოსვლია და მისთვის თავი უტკერებია. ამბობენ, იმ ბიჭთან ჯონი ევანსმაც იჩხუბაო — ჩანს, ლაზათიანი დაკა-დაკა ყოფილა.

ცნობისთვის: ევანსის გასამრჯელო კვირაში 8 ათასი გირვანქაა.

შეგახსენებთ, რომ „იუნაიტედის“ ახალგაზრდა მცველი თავად ჩაბარდა პოლიციას — სკანდალური წვეულების შემდეგ ის ნათესავთან ერთად მონაკოში გაფრინდა (ბილეთები წინასწარ ჰქონდა შეკვეთილი, ასე რომ, მონაკოში წასვლას გაქცევა ვერაფრით დაერქმევა), თუმცა, როგორც კი შეიტყო რომ უჩივიან, თვითმფრინავში ჩაჯდა და მანჩესტერში დაბრუნდა.

და რა არის ცნობილი მომჩივანი ქალის შესახებ? ის, რომ ქალი 26 წლისაა, შავგვრემანია, პროფესიით ბარმენია (ვინც ინგლისური კარგად იცის, შეუძლია, ბარვუმენი დაუძახოს) და წვეულებაზე, რომელიც 100 000 დაჯდა, ოქსფორდშირიდან ჩავიდა.

ჯონათან ევანსის ერთ-ერთი მეგობარი: „ჯონი ბოლო 48 საათში მომხდარი ამბებით დარეტიანებული და დაზაფრულია. ახლა მას ერთადერთი რამ აინტერესებს — რაც შეიძლება მალე აღიდგინოს პატიოსანი სახელი.“

ევანსმა პოლიციის განყოფილებაში 16 საათი გაატარა. მასთან ერთად იყვნენ მამამისი, 43 წლის ჯონი, და ვექილი მორის უოტკინსი. რამდენადაც პრესამ შეიტყო, დაკავებულს გაშვების წინ თითის ანაბეჭდები დაატოვებინეს. გათავისუფლების შემდეგ ფეხბურთელი შინ, მანჩესტერის ახლომდებარე დასახლება სეილში წავიდა, თუმცა ერთი ხნის მერე ისევ მოუწევს პოლიციაში გამოცხადება.

**ბაჩუნა ძიდია**




## კომპლიმენტები არსენ ვენგერს მარკ ჰიუზისგან

**მარკ ჰიუზს** სწამს, რომ „არსენალის“ ყმაწვილთა დღევანდელ თაობას „მანჩესტერ იუნაიტედის“ 90-იანელებთან შეუძლიათ გატოლება. ჰიუზმა ამაზე საშაბათის შემდეგ ილაპარაკა, ანუ „ქარლინგის თასზე“ მისი „ბლექბერნისა“ მისგანვე ასე ნაქები „არსენალის“ შეხვედრის შემდეგ — ეს შეხვედრა „მეთოფეებმა“ 3:2 მოიგეს.

მოგეხსენებათ, ჰიუზი თავად იყო იმ „მანჩესტერ იუნაიტედის“ წევრი, რომლის ძირითად შემადგენლობაშიც გზას იკვლევდნენ დევიდ ბექჰემი, რაიან გიგზი, გარი ნევილი, პოლ სქოულზი და ძმანი მათნი. დღეს, უკვე მწვრთნელად ჩამოყალიბებული უელსელი იმ ბიჭებს და დღევანდელ არსენალელებს, 19 წლის ნიკლას ბენდტერსა და დენილსონს, 21 წლის აბუ დიაბისა და სხვებს შორის პარალელს ავლებს.

„ვუყურებ და ვგრძნობ, რომ მათ იგივე მენტალიტეტი აქვთ, ჩემი დროის მანჩესტერელებს რომ გვქონდა და სრულიად შესაძლებელია, ეს მენტალიტეტი ისეთივე წარმატების წინაპირობა გახდეს. კარგია, რომ ეს ბიჭები მოგებას ეშურებიან და ყოველი შეხვედრისგან მხოლოდ და მხოლოდ მაქსიმუმს ელიან. ზუსტად იგივე დამოკიდებულება ჰქონდათ ბექემს, ბატს, სქოულზს და ჩემს სხვა თანაგუნდელებს. მათ ნებისმიერ წუთს შეუძლიათ დააგორონ ბურთი, კომბინაცია ჩახლართონ და საგოლე მომენტი შექმნან“.

გარდა ახალგაზრდებისა მარკ ჰიუზმა ლონდონელთა გუნდი მთლიანადაც შეაქო:

„დღეს „არსენალს“ ფაქტობრივად ორი გუნდი ჰყავს. ერთი გუნდი გამოცდილი, უმაღლესი კლასის ფეხბურთელებისგან არის შექმნილი, მეორე, უნიჭიერესი ახალგაზრდებისგან. თან, ეს ორი გუნდი მთავარი და სათადარიგო არ გეგონოთ, ორივე დიდი ძალისაა“.

**ბაჩუნა ძიდია**

## კალდერონი კაკას ვერ ხედავს

**ფელიფადზე** მეტია, „რეალის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონი „მილანიდან“ კაკას გადმობირებას ცდილობდა, ახლა კი ნწვანაირად აჭიკჭიკდა. „შეიძლება, ეს თავხედური ნათქვამი იყოს, მაგრამ მეეჭვება, კაკა ამჟამინდელი „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვდეს. გუნდი ძალიან დაბალანსებული და იმდენად ძლიერია, რომ მილანელის ადგილს აქ ველარ ვხედავ“ — განაცხადა კალდერონმა, რომელიც 2006-ში საპრეზიდენტო არჩევნებისას „რეალის“ ქომაგებს პირველ რიგში კაკას ყიდვას ჰპირდებოდა.

## დროგბამ თარიღი არ იცის

**„სანთან“** ინტერვიუში დიდიე დროგბამ თქვა, რომ ზუსტად არ იცის, მოედანს როდის დაუბრუნდება. „ჩელსის“ კოტდივუარელ ფორვარდს მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს და ამბობდნენ, იანვრის დასაწყისისთვის გამოკეთდებაო. „წარმოდგენა არ მაქვს, მკურნალობას რამდენი ხანი დასჭირდება. არც ერთი ფეხბურთელი არ გარისკავს გუნდისთვის მნიშვნელოვან პერიოდში ოპერაციას, თუ ეს აუცილებელი არაა. მეც სხვა გზა არ მქონდა და გავიკეთე. გამორიცხული არაა, აფრიკის თასიც გამოვტოვო“.

## ბალაკის დაპირება

**„ჩელსის“** ნახევარმცველმა მიხაელ ბალაკი გერმანულ მედიას შეპირდა, რომ ევრო 2008-ისთვის კარგ ფორმაში იქნება. ტრავმირებულ ფეხბურთელს შვიდი თვეა აღარ უთამაშია. მარცხენა ფეხზე ოპერაცია ორჯერ გაუკეთეს და მის გამოჯანმრთელებას საშველი აღარ დაადგა. „საკმარისი დრო მაქვს საიმისოდ, რათა ევროპის ჩემპიონატისთვის სათანადოდ მოვემზადო. მერე მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშიც მსურს და ალბათ 2011-ში ან 2013-ში კარიერას დავასრულებ“ — თქვა ბალაკმა.

## რიისეს ვალენსია გაუკვირდა

**„ლივერპულის“** ნორვეგიელმა მცველმა იონ-არნე რიისემ განაცხადა, რომ კლუბის გამოცვლას არ აპირებს. რამდენიმე დღის წინ „ვალენსიას“ მწვრთნელმა რონალდ კუმანმა ნორვეგიელის გადაბირების სურვილი BBC-სთან გაამხილა და რიისეს პასუხიც ამას მოჰყვა. „არაერთხელ მითქვამს, რომ „ლივერპულიდან“ წასვლა არ მინდა. პირიქით, კონტრაქტის გახანგრძლივება მსურს. საამისოდ მუდმივად ძირითად შემადგენლობაში თამაშია საჭირო და მეც ვარჯიშებზე თავს არ ვზოგავ, რათა სხვებზე უკეთეს ფორმაში ვიყო“ — ბრძანა მცველმა.

## ჯურუ ტურეს შეცვლის

**ამ ზაფხულს** „არსენალიდან“ ბირმინგემში“ განათხოვრებული იოჰან ჯურუ ლონდონურ კლუბში იანვარში დაბრუნდება. „მეთოფეებს“ ცენტრალური მცველი კოლო ტურე აფრიკის ეროვნებათა თასზე მიდის და არსენ ვენგერს მისი შემცვლელი სჭირდება. 20 წლის შვეიცარიელი ჯურუ „ბირმინგემის“ ძირითად შემადგენლობაში ხშირად ხვდებოდა და უთამაშებლობას არ უჩივის.

## სანიოლი რჩება

**„ბაიერნის“** მცველმა ვილი სანიოლმა გადაწყვეტილება შეცვალა და კლუბში დარჩენას დათანხმდა. კლუბის შეფებს და მწვრთნელს ვესაუბრე და პრობლემა მოგვარებულია. დიდი განხეთქილება ჩვენს შორის არც ყოფილა, მხოლოდ პატარა დეტალებზე ვერ ვრიგდებოდით. კვლავაც აქ დავრჩები და გუნდს დავეხმარები“ — თქვა ფრანგმა, რომელიც ნოემბერში წასვლაზე ლაპარაკობდა.

## კოკო გუნდს ეძებს

**„მილანის“, „ინტერისა“** და „ბარსელონას“ ყოფილი მცველი ფრანჩესკო კოკო ფეხბურთში დაბრუნებას არ გამორიცხავს. იმის გამო, რომ ზაფხულში უგუნდოდ დარჩა, იტალიელი კლუბის ძებნას შეეშვა და რეალითი შოუში მონაწილეობას აპირებდა. ბოლოს „ქუინზ პარკში“ ცდილობდა დამკვიდრებას, მაგრამ არ დაიტოვეს. ახლა მისით „ბოლონია“ და „ზალცბურგი“ დაინტერესდნენ.

## ლუსიოზე მუშაობენ

**სეზონის** ბოლოს „მილანის“ მცველები, მალდინი და კაფუ კარიერას დაასრულებენ. „როსონერი“ ახლავე ეძებს მათ შემცვლელს და ერთ-ერთი კანდიდატი „ბაიერნის“ ბრაზილიელი ლუსიოა. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტის ადრიანო გალიანის დავალებით, ამ ვარიანტზე კლუბის სპორტული დირექტორი არიედო ბრაიდა მუშაობს. ამბობენ, რომ ლუსიო იტალიაში გადასვლას არ იუარებს.

## სურკისმა ლიპი ახსენა

**უკრაინის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა ნაკრების მწვრთნელობის სავარაუდო კანდიდატებზე ისაუბრა: „მარჩელო ლიპი თუ დაგვთანხმდება, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ძალიან საინტერესო დუელს ვიხილავთ. კაპელოს ინგლისი ლიპის უკრაინას შეხვდება. ჟოზე მაურინიუს ინგლისის თავკაცობაზე უარი რომ არ ეთქვა, ფაბიო კაპელო ჩვენი ნაკრების მწვრთნელი გახდებოდა. ვერ დავიჟინებ, რომ ეროვნულ გუნდს აუცილებლად უცხოელს ჩავაბარებთ. ალექსეი მიხაილიჩენკოს ვარიანტსაც განვიხილავთ, რომელიც ამჟამად ახალგაზრდულში მუშაობს“. შეგახსენებთ, რომ უკრაინის ნაკრებიდან ოლეგ ბლოხინი ნოემბერში წავიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მადონინას მოლოდინში




## ინტერის ქომაგებმა არ წაიკითხოთ!

**მომავალ უქმეებზე სერია A-ში წლის ბოლო მატჩები გაიმართება და იტალიის ჩემპიონატი ცოტა ხნით დაგვემშვიდობება. ეს დამშვიდობება კი ბრწყინვალე მატჩით „დერბი დელა მადონინათი" ანუ „ინტერი" — „მილანის" შეხვედრით მოხდება. ცხადია, ამ თამაშზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ და თან ძალიან ბევრსაც. ჩვენ კი ორი ცნობილი იტალიელი ჟურნალისტის ჩანახატს შემოგთავაზებთ, რომლებიც ამ კლუბებსა და ამ მატჩს ეხება. სუზი კამპანელე გვეტყვის, თუ რატომ სძულს „ყველას" „ინტერი", ხოლო ანტონიო ლაბატე ახსნის, თუ რატომ აჯობებს, რომ ეს შეხვედრა „როსონერის" გამარჯვებით დასრულდეს...**

## ყველას სძულს ინტერი

**ცოტა** ხნის წინ, ლონდონში იტალიური ფეხბურთის რამდენიმე ქომაგთან ერთად მოვხდი და ჩვენი საუბარი სროლაში გაკვეთილს დაემსგავსა — ყველას სამიზნე ამ კომპანიაში „ინტერის" ერთადერთი გულშემატკივარი გახლდათ, რომელმაც კარგად გადაიტანა ეს იერიშები, მაგრამ კამათის დასრულების შემდეგ, საჭიროდ ჩავთვალე და მოვუბოდიშე, რადგან მისი ბრალი ნამდვილად არაფერია.

ბუნებრივია, რომ „ნერაძური" ბევრში იწვევს ზიზღსა და კრიტიკას, რადგან კალჩოპოლის სკანდალამდე „იუვენტუსის" დარად, „ინტერი" ახლა ნამდვილი მონსტრივითაა, რომელიც ყველაფერს ანადგურებს და მატჩს-მატჩზე იგებს, მიუხედავად იმისა თუ რა შემადგენლობითაა მინდორზე.

მართალია, მილანელები ყველანაირად ცდილობენ ეს ვითარება შეცვალონ, ხალხს თავი მოაწონონ და „მსოფლიოს ყველაზე ცუდი გამარჯვებულების" კლიშე მოიშორონ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოდის.

ყველაფერი კალჩოპოლის სკანდალით დაიწყო, როცა სერია A-ში ბევრისთვის აბუჩად ასაგდები 2006 წლის სკუდეტო „ინტერს" კაბინეტში გადაეცა.

იმის მაგივრად, რომ „ინტერს" ამ ტიტულზე უარი ეთქვა ან მოწიწებით მიეღო, „ნერაძურიმ" ეს ჩემპიონობა დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა და ამ სკუდეტოს სამართლის და პატიოსნების ჯილდო უწოდა.

2006-2007 წლების სეზონში „ინტერმა" ბოლო-ბოლო შეძლო და, თამაშით მოიგო სერია A, მაგრამ „იუვენტუსი" სერია B-ში გახლდათ დაქვეითებული, ხოლო „ნერაძურის" სხვა მთავარ კონკურენტებს ქულები ჰქონდათ დაკლებული...

ამას მოჰყვა კლუბის პრეზიდენტის მასიმო მორატის, მწვრთნელის რობერტო მანჩინისა და რამდენიმე ფეხბურთელის საჯარო განცხადებები — იმედია, „მილანი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ლივერპულთან" წააგებსო. „როსონერის" გამარჯვება ხომ „ინტერის" სკუდეტოს მოგებას და ამის აღსანიშნავ დიდ ზეიმს ასე თუ ისე აუფერულებდა, მაგრამ...

ბოდიში, მაგრამ მხოლოდ „ინტერის" დარმა მოკლე ჭკუის და ცოტა უცნაური შეხედულებების მქონე გუნდმა შეიძლება დააყენოს სრულიად იტალიის ინტერესებზე მაღლა თანაქალაქელ „მილანთან" უმცროსი და უფროსი ძმების მაგვარი დაპირისპირება. „ნერაძურის" შემადგენლობას თუ გადავხედავთ, არც ის გამიკვირდებოდა მსოფლიოს ჩემპიონატზე ინტერელებს არგენტინისთვის რომ ექომაგათ და არა „სკუადრა აძურასთვის".

ექვსი თვე გავიდა, მაგრამ გაკვეთილი არავის უსწავლია. ახლახან მანჩინიმ თქვა, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი ამხანაგური ტურნირივითაა, დიდ ინტერესს არ იწვევს და ფინალში „ბოკა ხუნიორსთან" „მილანს" არ ვუქომაგებო.

ინტერელებს გულის სიღრმეში „როსონერის" მარცხი რომც სდომოდათ, ეს კლუბის არცერთმა წარმომადგენელმა საჯაროდ არ უნდა განაცხადოს!

კარგი დღე არ გიდგათ, როცა ფეირ პლეიზე და მეგობრულ ურთიერთობებზე სილვიო ბერლუსკონისგან გიწევთ რჩევის მიღება. — „თუ „ინტერი" რომელიმე საერთაშორისო ტურნირის ფინალში გავა და იტალიის სახელის დაცვა მოუწევს, ჩვენ რასაკვირველია „ნერაძურის" ვუქომაგებთ" — შეიძლება ძნელი სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს, მაგრამ ასეა თუ ისე, ეს კარგი ჟესტი გახლდათ ბერლუსკონის მხრიდან.

მოკლედ, ბოდიშს ვუხდი „ინტერის" „იმ" და ყველა ქომაგს, მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენ ტიტულს მოიგებს შენი საყვარელი კლუბი, რამდენ რეკორდს დაამყარებს ან რამდენ ვარსკვლავს ჩაიგდებს ხელში. თუ ასე გაგრძელდა, მთელ დანარჩენ იტალიას და არამარტო იტალიას, სულითა და გულით ენდომება „ნერაძურის" დაცინვა და შეურაცხყოფა. არაფერი პირადული...

**სუზი კამპანელე**

## ფორცა მილან!

**თუ უკვე** არ ხართ „მილანის" ფანი — ან „ინტერის" გულშემატკივარი — მაშინ კვირას საღამოს ჩვენ ყველანი „მილანის" ქომაგებად უნდა ვიქცეთ. შესაძლოა ეს ძალიან რთული გასაკეთებელი იყოს ზოგიერთი თქვენგანისთვის და თავი სხვა ადამიანი გეგონოთ, მაგრამ თუ არ გვინდა რომ „ნერაძურიმ" თითქმის გაინაღდოს სკუდეტო ამ დერბიში „როსონერიმ" უნდა იმარჯვოს.

„მილანი" გარკვეულ წილად ვალდებულიცაა რომ სერია A-ს ასეთი საჩუქარი გაუკეთოს, რადგან ბოლო ორ სეზონში „როსონერი" პირდაპირ ამბობდა, რომ პრიორიტეტი ჩემპიონთა ლიგა გახლდათ, ხოლო იტალიის ჩემპიონატში ოთხეულში მოხვედრაც საკმარისი იქნებოდა.

„მილანმა" ლიგაც მოიგო, ევროპის სუპერთასიც და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატიც, ახლა კი შიდა ჩემპიონატის მიხედვის დროც დადგა, რადგან დღესდღეობით „როსონერი" საუკეთესო, არათუ იტალიაში, შესაძლოა მილანშიც კი ვერ არის...

რასაკვირველია, „მილანს" ძალიან გაუჭირდება ამ მატჩის მოგება, დერბიში გამარჯვება არასდროსაა ადვილი. თუმცა ისიც სათქმელია, რომ კარლო ანჩელოტის შეგირდები, „ბოკა ხუნიორსთან" გამარჯვების შემდეგ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით წესით ბრწყინვალედ უნდა გამოიყურებოდნენ. ერთი ესაა, გაჩნდა რამდენი ენერგია დაიხარჯა იაპონიიდან იტალიაში გადმოფრენაზე და ვისზე როგორ იმოქმედა ამან.

თუმცა ვერც იმას გავექცევით, რომ მიმდინარე სერია A-ში „როსონერი" ძალიან ცუდად გამოიყურება — 13 მატჩში მხოლოდ 18 ქულა. თან ანჩელოტის შეგირდებს საკუთარ კედლებში ჯერაც არ მოუგიათ. იქნებ იღბლიანად დაემთხვა, რომ კვირას ისინი ფორმალურად სტუმრები იქნებიან...

„ინტერი" ჯერჯერობით უდავოდ სეზონის საუკეთესო გუნდია, ტრავმების ეპიდემიის მიუხედავად არ გატყდა და ძირითადად ცალი ფეხით იგებს ხოლმე თამაშებს. ახლა „ნერაძური" უკვე 7 ქულით უსწრებს მეორეადგილოსან „რომას", რომელიც თავისი არასტაბილურობისა და სტილის გამო უფრო სათასო გუნდია, ვიდრე საჩემპიონატო.

„ნერაძურის" მწვრთნელ რობერტო მანჩინისთვის საქმე ისე ხავერდოვნად მიდის, რომ მას გუნდის ლიდერის ზლატან იბრაჰიმოვიჩის იმაზე ხშირად დასვენების ფუფუნება აქვს ხოლმე, ვიდრე წარმოსადგენი იყო. გარდა ამისა, მან მთავარი კონკურენტების მწვრთნელებს ფსიქოლოგიური დუელი მოუგო — გამოსცადა და წარმატებით აამუშავა სამთავდამსხმელიანი ტაქტიკური მონახაზები.

იბრაჰიმოვიჩი კვირის მატჩში ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება და მას პირადი დუელიც ექნება „მილანის" ბრილიანტ კაკასთან. იმედია, შეხვედრა ბრწყინვალე სანახავი გამოდგება, ნებისმიერ შემთხვევაში ეს არის და იქნება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და დაძაბული კლასიკური დაპირისპირება. თუმცა ახლა ამ თამაშს შეუძლია მიმდინარე სერია A-ში სკუდეტოსთვის ბრძოლის ინტრიგა ჩაკლას, ან პირიქით, ერთიორად გამოაცოცხლოს.

**ანტონიო ლაბატე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი 2007-2008 ჯგუფური ეტაპი. V ტური

### E ჯგუფი

**ციურიხი 0:5 ლევერკუზენი**

0:1 გრეშკო (19), 0:2 ბულიკინი (22), 0:3 ბარნეტა (50), 0:4 ბულიკინი (58), 0:5 კისლინგი (80)

**ტულუზი 2:1 სპარტაკი**

1:0, 2:0 დიუშ სანტუში (41, 52), 2:1 ძიუბა (61პ)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| სპარტაკი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ციურიხი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:7 | 6 |
| სპარტა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ტულუზი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | 3 |

### F ჯგუფი

**ბრაგა 2:0 ცრვენა ზვეზდა**

1:0 ლინცი (11), 2:0 ვენდერი (66)

**ბაიერნი 6:0 არისი**

1:0, 2:0, 3:0, 4:0 ტონი (25, 38, 64, 65), 5:0 ლელი (78), 6:0 ლამი (81)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 4 | 2 | 2 | 0 | 12:5 | 8 |
| ბრაგა | 4 | 1 | 3 | 0 | 5:3 | 6 |
| ბოლტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 6 |
| არისი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:8 | 5 |
| ცრვენა ზვეზდა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |

### G ჯგუფი

**ხეტაფე 2:1 ანდერლეხტი**

1:0 პაბლო ერნანდესი (4), 2:0 სელესტინი (49), 2:1 ტერეაუ (90)

**ჰაპოელი 1:3 ოლბორგი**

0:1 რისგერდი (27), 1:1 ფ. ჟუნიორი (45), 1:2 იაკობსენი (493), 1:3 ენევოლდსენი (66)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხეტაფე | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ანდერლეხტი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ოლბორგი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| ჰაპოელი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | 3 |

### H ჯგუფი

**პანიონიოსი 2:3 ბორდო**

1:0 ჯებური (53), 2:0 მარკოსი (19), 2:1 კავენაგი (38), 2:2 ტრემულინა (74), 2:3 მუამბე (86)

**გალათასარაი 0:0 აუსტრია**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 12 |
| ჰელსინგბორგი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| გალათასარაი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:5 | 4 |
| პანიონიოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| აუსტრია | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | 1 |

# ოთხი ტონა გოლი ტონისგან

**1995 წლის** შემდეგ „ლევერკუზენს" უეფას თასზე სტუმრად ხუთბურთიანი სხვაობით არ მოეგო და ციურიხში რეკორდი გაიმეორა. მიხაელ სკიბეს გუნდმა ამ მატჩამდე სამში მხოლოდ ორი გაიტანა, „ციურიხთან" კი იშტაზე მოვიდა და ხუთი შეაგდო — სწორედ იმდენი, რამდენიც შაბათს ბრემენში „ვერდერისგან" გაუშვა. სკიბემ ბრემენული მატჩის მერე ეტყობა, ბიჭები გვარიანად შეაფუცხუნა და მათაც ცხელ გულზე შვეიცარიელები „შემოელახათ". გოლების აღწერით თავს არ შეგაწყენთ და მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ხუთიდან ოთხი საჯარიმოს შიგნიდან გავიდა. მოსკოვის „დინამოს" ყოფილმა ფორვარდმა დმიტრი ბულიკინმა კი დუბლი შეასრულა.

„ტულუზს" სამივე მატჩი წაგებული ჰქონდა და ბოლო ტურში თავი აღარ შეირცხვინა, პირველი ტაიმის მიწურულს მეკარესთან პირისპირ გასულმა დიუშ სანტუშმა ანგარიში გახსნა, ხოლო მეორის დასაწყისში მანვე თვით არცთუ ძლიერად დაურტყა ხომიჩს, რომელმაც ახლო კუთხეში გაუშვა.

გოლსმოწყურებულმა მიუნხენის „ბაიერნმა" ჯავრი „არისზე" იყარა. ოტმარ ჰიცფელდის გუნდმა ბუნდესლიგის ბოლო ორ ტურში ერთიც ვერ გაიტანა და ქომაგები ოთხშაბათს გაახარა. ოლივერ კანისგან გაკრიტიკებულმა ლუკა ტონიმ პოკერი მიითვალა და დაამტკიცა, რომ საგოლე ალღო არ დაუკარგავს. „მიხარია, რომ გულშემატკივრებს ზეიმი მოვუწყვეთ — თქვა ჰიცფელდმა — ტონიმ იცის, სად მიუვა ბურთი და ზუსტად იქ უსაფრდება, თან ორი-სამი მცველი ყოველთვის დასდევს, რითაც სხვა ფორვარდებს სივრცეს უთავისუფლებს". საუცხოოდ ითამაშა ფრანკ რიბერიმ, რომელმაც კანისგან თავისი წილი კრიტიკის ულუფა მიიღო. ტონიმ ორი რიბერის პასებით გაიტანა, მესამე და მეოთხე გოლისას კი ასისტენტობა ლამმა და ზე რობერტომ გაუწიეს. მატჩის ბოლოს „არისი" ისე დაიქანცა, რომ კრისტიან ლელმა და ფილიპ ლამმაც მოიცალეს საგოლედ. ამ ზაფხულს 12 მილიონ ევროდ ნაყიდმა ლუკა ტონიმ ნახევარ სეზონში უკვე 17 გოლი მოაგროვა.

ისტორიაში პირველად პორტუგალიას ევროთასებზე საგაზაფხულოდ ოთხი კლუბი შემორჩა. „პორტუ" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშია, „ბენფიკას" და „სპორტინგს" კი უეფას თასზე „ბრაგაც" დაემატა, რომელმაც „ცრვენა ზვეზდა" დაამარცხა. ბელგრადულმა გუნდმა ჯგუფში მეოთხე მატჩიც წააგო და ტურნირი უქულოდ დაასრულა. ბრაგელთა ავსტრიელმა ფორვარდმა როლანდ ლინცმა ფლანგიდან ჩაწოდებული მარჯვენა ფეხით შეაგდო კარში, ხოლო ვენდერმა მეორე ტაიმში ბანოვიჩს 10 მეტრიდან გაუტანა. „ბაიერნს" ორი ქულით ჩამოვრჩით, „ბოლტონს" კი გადავასწარით. ეს „ბრაგასთვის" ისტორიული ამბავია — თქვა მწვრთნელმა მანუელ მაჩადომ — მეთექვსმეტედფინალში ჩემპიონთა ლიგიდან გვეყოლება მეტოქე, მაგრამ არავისი არ გვეშინია, რადგან შინ „ბაიერნს" და სტუმრად „ბოლტონს" ფრე ვეთამაშეთ. ეს გუნდები კი საკმაოდ ძლიერები არიან. მათთან მატჩებში დიდი გამოცდილება მივიღეთ".

პრიმერადივიზიონის მე-14-ადგილოსანმა მიქაელ ლაუდრუპის „ხეტაფემ" იმდენი მოახერხა, რომ თვით „ტოტენჰემს" და „ანდერლეხტს" თავზე წამოაჯდა და პირველი ადგილი დაიკავა. არადა, გუნდი ევროთასებზე პირველად თამაშობს. პაბლო ერნანდესმა მასპინძლები მალევე დააწინაურა, ამის მერე კი „ანდერლეხტი" უფრო ყოჩაღობდა, მაგრამ სამი მომენტიდან ერთიც ვერ გამოიყენა. მეორე ტაიმში ერნანდესის პასით სელესტინმა შეაგდო და ისევ სტუმრებმა შეუტიეს გასათანაბრებლად. მბო მპენზას და ბარტ გოორს აბონდანსიერიმ არ გაატანინა, მაგრამ ბოლო წუთზე ტერეაუმ თავით მაინც შეამცირა სხვაობა. „ძალიან მინდა, მეთექვსმეტედფინალში რომელიმე ძლიერი მეტოქე შეგვხვდეს — თქვა ლაუდრუპმა — ლონდონში „ტოტენჰემთან", დანიაში „ოლბორგთან" და ამჯერად „ანდერლეხტთან" დავამტკიცეთ, რომ ამ ტურნირში თამაშის ღირსნი ვართ. ეს დიდი მიღწევაა ასეთი პატარა კლუბისთვის. მატჩის განმავლობაში მშვიდად ვიყავი, რადგან გუნდი ძალიან კარგად თამაშობდა და ტერეაუს გოლზეც არ ავღელვებულვარ".

„ჰაპოელს" შეეძლო ჯგუფიდან გასვლა, მაგრამ „ოლბორგთან" დამარცხდა. მასპინძლებს რომ მოეგოთ, „ანდერლეხტს" გადაასწრებდნენ და მესამე ადგილს წაართმევდნენ. დანიელები კასპერ რისგერდმა დააწინაურა, არადა, მანამდე მასპინძლებმა სამი-ოთხი მომენტი გაანიავეს. ტაიმის მიწურულს ფაბიო ჟუნიორმა კოხტა გოლი გაიტანა — საჯარიმოს ხაზიდან ბურთი ცხრიანში შეაბრძანა. შესვენების შემდეგ კუთხური ზავთქვრისთვის დანიშნული პენალტი იაკობსენმა შეირგო და „ჰაპოელმა" მეორედ ველარ მოახერხა გათანაბრება. ოლბორგელი ენევოლდსენის გოლმა დამხვდურებს შანსი აღარ დაუტოვა.

„გალათასარაიმ" მადლობა უნდა უთხრას „ბორდოს", რომელსაც პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდა, მაგრამ „პანიონიოსს" მაინც მოუგო და სტამბოლელები მეთექვსმეტედფინალში გაიყვანა. ბერძნები მეორე წუთისთვის ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ და თავი ქუდში ჰქონდათ, თუმცა მერე ლორან ბლანის „ბორდო" იშტაზე მოვიდა და სამი გოლით უპასუხა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ტონიმ „არისს" პოკერი გაუშალა



# ადრიანო სახლში რჩება

**ბრაზილიელმა** ფორვარდმა ადრიანომ სამშობლოში ორთვიანი სარეაბილიტაციო კურსი დაამთავრა, მაგრამ „ინტერში" მომავალ ზაფხულამდე მაინც არ დაბრუნდება. „ნერაძური" „იმპერატორის" ექვსი თვით „სან პაულუში" განათხოვრებას დათანხმდა და ამ პერიოდში ფეხბურთელს ხელფასსაც გადაუხდის. მხარეებს ეს და კიდევ რამდენიმე დეტალი აქვთ შესათანხმებელი.

„გადაწყვეტილია, რომ ადრიანო ივნისამდე „სან პაულუში" ითამაშებს. უბრალოდ, დეტალებიღაა შესათანხმებელი" — თქვა „იმპერატორის" აგენტმა ჟილმარ რინალდიმ.

ადრიანო: „ძალიან მიხარია, რომ ეს შეთანხმება შედგა. აქ ჩამოსვლის პირველივე დღიდან თავს ჩინებულად ვგრძნობ და „სან პაულუში" თამაში მინდა. ჩემთვის დიდი პატივი იქნება, თუ ამ კლუბთან ერთად რომელიმე ტიტულს მოვიპოვებ და ამაში წვლილს შევიტან. მინდა, რაც შეიძლება მალე აღვიდგინო ფორმა და ნაკრებში ადგილი დავიბრუნო".

შეგახსენებთ, რომ „იმპერატორს" ბოლო თითქმის ორი სეზონი ჩაუვარდა დეპრესიისა და ცხოვრების უდისციპლინო წესის გამო. ადრიანომ მამის გარდაცვალება მძიმედ გადაიტანა და ქრონიკული უძილობითაც დაავადდა. სწორედ ამის გამო მივეძალე ღამის კლუბებსა და ალკოჰოლურ სასმელებსო.

**ქოქი ქანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მწვრთნელმა
ანგულოც გაუშვა

# კუმანი არავის ინდობს

## ჯერ ანგულო, მერე... მთელი გუნდი?

ვალენსიური რეპრესიები გრძელდება. „ღამურათა" მწვრთნელმა რონალდ კუმანმა გუნდის კრიზისში ჯერ კაპიტანი დავიდ ალბელდა და ვეტერანი მეკარე სანტიაგო კანისარესი დაადანაშაულა და განაცხადა, რომ მათ იანვრიდან თავშესაფარი სხვაგან უნდა ეძებონ, ახლა კი ირკვევა, რომ „ცოცხმომარჯვებულმა" კუმანმა დასჯილთა გზას „ვალენსიას" და ესპანეთის ნაკრების ფეხბურელი მიგელ ანხელ ანგულოც გაუყენა

**„კლუბის** სპორტული დირექტორი მიგელ ანხელ რუისი დამიკავშირდა და მითხრა, რომ ამ სეზონში ანგულო „ვალენსიას" განაცხადში ველარ მოხვდება. ამიტომაც ფეხბურთელმა ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე სხვა კლუბი უნდა მოძებნოს" — განაცხადა „რადიო მარკასთან" საუბარში ანგულოს საფეხბურთო აგენტმა ხოსე ლუის ტამარგომ.

„მესტალიაზე" კი შიშის ატმოსფეროა. კანისარესის, ალბელდასა და ანგულოს ბედის გაზიარება ბარახას, ვისენტეს, ხოაკინს, მორიენტესს, მარჩენასა და ელგერას ემუქრება. კლუბის უფროსობას, როგორც „ვალენსიას" კულუარებში ამბობენ, ყველაფრის ნულიდან დაწყება უნდა და რონალდ კუმანსაც ხალხის დათხოვნის ამბავში სრული თავისუფლება მიანიჭეს.

დავიდ ალბელდა იანვარში სავარაუდოდ იტალიურ „იუვენტუსს" მიაკითხავს. იქაურთა მწვრთნელი კლაუდიო რანიერი ესპანელის ძველი ნაცნობია. სენიორ რანიერი ვალენსიელი ნახევარმცველის საფეხბურთო შესაძლებლობებს კარგად იცნობს და იცის, ალბელდას მოედანზე რაც შეუძლია.

ზემოთ ხსენებულ მოთამაშეებთან ერთად გაგდების კანდიდატები „ვალენსიას" მიერ საამსეზონოდ შეძენილი ნიკოლა ჟიგიჩი და მანუელ ფერნანდეშიც არიან. ისინი კიკე ფლორესის მწვრთნელობის დროსაც დაიტანჯნენ და არც კუმანის პერიოდში ელირსათ თამაში.

ჰოლანდიელი მწვრთნელი სიბეცეს არ უჩივის, მაგრამ ფერნანდეშს და გიგანტ ჟიგიჩს „ვერ ხედავს". „ბარსელონასთან" მატჩში (რომელიც ღამურებმა შინ სამარცხვინოდ, 0:3 წააგეს) კუმანმა გუნდის „კანტერას", პირტიტველა ფეხბურთელებს მისცა დებიუტის შანსი, სერბი და პორტუგალიელი კი სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

ვისენტე როდრიგესი ადრე გუნდის სამედიცინო შტაბის წარმომადგენელს და „ვალენსიას" პრეზიდენტის ახლო მეგობარ ანტონიო ხიმენესს წაეჩხუბა. ამისთვის „ღამურების" ნახევარმცველი კლუბმა დააჯარიმა და პრეზიდენტმა სოლერმაც, ესპანური გაზეთების ვერსიით, ვისენტეზე გულში ბოღმა ჩაიდო. ფეხბურთელი ივლისში 26 წლის შესრულდა, წლეულს კი მძიმე ტრავმის გამო 5 თვით ლაზარეთს იყო მიჯაჭვული.

მართალია, დავიდ ვილიას „მესტალიადან" წასვლა არ ემუქრება, მაგრამ ფეხბურთელს პრესასთან საუბარში რეპრესიებით თავისი უკმაყოფილება არ დაუფარავს. ვილიას წარმომადგენელი ხსენებული ხოსე ლუის ტამარგოა, ვინც „მარკას" უთხრა: „დავიდ ვილიას ძლიერ და გამარჯვების სულისკვეთებით აღვსილ გუნდში უნდა ყოფნა და არა არეულ სიტუაციაში".

